

ქრისტინა აჯიმიანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

k.ajimiani@freeuni.edu.ge

## ფათერაკების მაძიებელი მარჯვე არაბები და მათი ასახვა არაბულ ლიტერატურაში

### რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება ისეთ ისტორიულ მოვლენას, როგორიცაა აღმოსავლელი ავანტიურისტები - ქუჩის მახვილგონიერი თაღლითები, ე.წ. *'ayyārūn wa-š-šutār*, ანუ „მაწანწალები და მზაკვრები“. მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ ეპიკურ ნიმუშებს შორის აღსანიშნავია მოთხრობები, თქმულებები ამ აღმოსავლელ ავანტიურისტებზე.

შუა საუკუნეებში *'ayyārūn*-ს უწოდებდნენ მეომრებს, რომლებიც იყვნენ გაერთიანებული ე.წ. სამოვებში - *murūwwa* ან *futuwwa* („გამბედაობა“, „მამაცობა“, „ახალგაზრდობა“). ისინი ფართოდ იყვნენ გავრცელებული ერაყსა და სპარსეთში, მოგვიანებით კი, აგრეთვე, ტრანსიორდანიასში. თავდაპირველად ეს სამოვები წარმოადგენდნენ გილდიურ გაერთიანებებს, შემდგომში კი გადაიქცნენ შეიარაღებულ რაზმებად, ფორმალურად იყვნენ სულთნის სამსახურში, მაგრამ ხშირად უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას.

მასებში *'ayyārūn* პოპულარული იყვნენ, როგორც ოინზაზები და ავაზაკები. ისინი მდიდრებს მარცვავდნენ და ამით გამოხატავდნენ კლასობრივ პროტესტს. ხალხი თანაუგრძნობდა მათ, აღფრთოვანებით ყვებოდა მათ შესახებ ისტორიებს, ანეკდოტებს, ქმნიდა გმირულ ეპოსებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

საინტერესოა, რომ ოინზაზი გმირების უმეტესი ნაწილი ითვლება ფანტასტიკურ პერსონაჟებად, მაგრამ ისინი ნამდვილი პიროვნებები არიან თავი ანთი ისტორიული წარსულით, რომელიც დიდად არ განსხვავდება მხატვრულისაგან. ამ ისტორიულ წარსულს ადასტურებენ ისტორიული ტექსტები, რომლებიც მიუთითებენ მათ არსებობაზე. პოპულარულ ემზაკ გმირებს შორის უნდა აღინიშნოს მზაკვარი დალილა (*Dalīla al-muhtāla*), ალი ალ-ზაიბაკი (*‘Alī al-Zaybaq*) და აჰმად ალ-დანაფი (*Aḥmad al-Danaf*). მათ შესახებ ისტორიები გვხვდება არაბული ლიტერატურის ორ ყველაზე მნიშვნელოვან კრებულში, კერძოდ, „1001 ღამე“-სა და „ალი ალ-ზაიბაკის სირა“-ში (*sīra ‘Alī al-Zaybaq*).

აღმოსავლელ ავანტიურისტებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს X საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული მაკამას ჟანრი, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ლიტერატურაში და წინ გაუსწრო ევროპულ ავანტიურულ ნოველას.

ავანტიურისტი გმირების ფართო პოპულარობას ადასტურებს მოკლე ანეკდოტის ჟანრიც, რომელიც არსებობს არაბულ ლიტერატურაში. იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „1001 ღამეში“. თავდაპირველად ანეკდოტების პერსონაჟები ისტორიული პირები იყვნენ. ანეკდოტების ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად უნდა ჩაითვალოს ჯუჰა (*Ġuḥā*), რომელიც შემდგომში გავრცელდა ერთი ლიტერატურიდან მეორეში, ერთი ფოლკლორიდან მეორეში, და შეადგინა სიცილიაში, სერბეთსა და ტოსკანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ავანტიურისტული პროზა და ანეკდოტები არა-ბული ლიტერატურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მათი შესწავლა და კვლევა საყურადღებოა მრავალფეროვანი არაბული ლიტერატურის შესახებ ჩვენი ცოდნის გასამდიდრებლად.

**საკვანძო სიტყვები:** *‘ayyārūn wa-š-šuttār*, *futuwwa*, ალი ალ-ზაიბაკი, მაკამები, მოკლე ანეკდოტი.

მსოფლიო ლიტერატურაში, ფართოდ გავრცელებულ ეპიკურ ნიმუშებს შორის, აღსანიშნავია მოთხრობები აღმოსავლელ ავანტიურისტებზე (*‘ayyārūn wa-š-šuttār*) არაბულ კულტურულ მემკვიდრეობაში შემონახულია უამრავი წიგნი, ცნობა, მოთხრობა, თარგმანი, ბიოგრაფია (სირა), პოეტური და პროზაული ნაწარმოები, აფორიზმი და ანეკდოტი, სადაც მოთხრობილია ქურდებსა და თაღლითებზე, მათ ხრიკებზე, „პროფესიულ“ ტრადიციებზე. არაბულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ეს შემოქმედება ცნობილია როგორც *‘adabu-l-‘ayyārūn wa-š-šuttār*, ანუ „მაწანწალების და მზაკვრების ლიტერატურა“.

აღმოსავლელი ავანტიურისტების და თაღლითების შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი კატეგორიის ადამიანები: *ša‘ālik* („უსაქმურები, ჩამოფლეთილები, მაწანწალები“), *šuttār* („მზაკვრები, თაღლითები“), *‘ayyārūn* („მაწანწალები, ნადირლები, უსაქმურები, ოინზაზები, ფლიდები“), *fiṭyān* („ახალგაზრდები, ყმაწვილები“), *zu‘ār* („ხულიგნები, ავაზაკები“), *du‘ār* („გარყვნილები“), *ḥarāfiš* („ქურდები, ამაზრზენი, ამორალური და უღირსი ადამიანები“) და საზიზღარი პროფესიების მქონე სხვა სუბიექტები. ისინი წარმოიქმნენ სიღარიბისა და უმუშევრობის შედეგად. ამას ხელს უწყობდა ფუქსავატი მმართველების ხალხის ინტერესებისადმი გულგრილობა, ასევე სამხედრო და სახელმწიფო მოხელეების გონებაჩლუნგობა და სიბრიყვე. *‘ayyārūn wa-š-šuttār* არის სოციალურად და პოლიტიკურად შელახული ფენა, რომელიც აერთიანებს სიღარიბესა და დერვიშობას. იგი გაჩნდა IX საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის შუა ხანებში (Al-Naḡār 1981, 7).

ტერმინი *‘ayyārūn wa-š-šuttār* არაბულში ძველად გამოიყენებოდა. ახლა იგი უკვე ნაკლებად გვხვდება და თაღლითებისა და ყალთაბანდების შესახებ თავგადასავლების აღსანიშნად, ჩვეულებრივ, იხმარება ტერმინი *muḡāmarāt* („თავგადასავლები, ავანტიურები, სარისკო წამოწყებები“). გმირი-ავანტიურისტის აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი *muḡāmīr* („ავანტიურისტი“).

შუა საუკუნეებში *‘ayyārūn*-ს უწოდებდნენ მეომრებს, რომლებიც იყვნენ გაერთიანებული ე.წ. სამოგებში - *muruwwa* ან *futuwwa* („გამბედაობა“, „მამაცობა“, „ახალგაზრდობა“). ისინი ფართოდ გავრცელებული იყვნენ ერაყსა და სპარსეთში, მოგვიანებით კი, აგრეთვე ტრანსიორდანიში. სირიასა და მესოპოტამიაში ისინი ცნობილი იყვნენ, როგორც *aḥdāt*<sup>1</sup>, ხოლო ეგვიპტეში - როგორც *ḥarāfiš*<sup>2</sup>. ზოგჯერ ტერმინი *‘ayyārūn* გამოიყენება იგივე მნიშვნელობით,

<sup>1</sup> *aḥdāt* (მხ. *ḥadaṭ*) – სიტყვ. „ახალგაზრდები“. ქალაქური პოლიციის სახეობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირიისა და ზემო მესოპოტამიის ქალაქებში X-დან XII საუკუნის ჩათვლით; განსაკუთრებით ცნობილია ალეპოსა და დამასკოში. ისინი ოფიციალურად ასრულებდნენ პოლიციის როლს, მაგრამ ხშირად ხელისუფლების წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. ტერმინი ასევე გვხვდება ერაყში (განსაკუთრებით ბასრასა და ქუფაში) (The Encyclopaedia of Islam 1960, 256; The Encyclopaedia of Islam 1965, 963).

<sup>2</sup> *ḥarfūs* (მრ. *ḥarāfiš*, *ḥarāfiša*) – „მოხეტიალე, მაწანწალა; ნადირალა, უსაქმური; უღირსი ადამიანი“, ხშირად გამოიყენება „ჩხუბისთავის, ხულიგნის, ყაჩაღის, არამზადას, ფლიდის, უნამუსოს“ მნიშვნელობით. XIII-დან XVI საუკუნის ჩათვლით ეს ტერმინი გვხვდება მატანიეებსა და თხზულებებში, რომლებიც ეხება ეგვიპტესა და სირიის მამლუქების სამფლობელოებს. ბოლო, ვინც ეს ტერმინი გამოიყენა, იყო იბნ იასი (*Ibn Iyās*) (გარდ. 1524 წ.). *ḥarāfiš* წარმოადგენდნენ მამლუქთა საზოგადოების ყველაზე

რაც *fityān* „ახალგაზრდები“. არსებული ტექსტები მიუთითებენ, რომ ბევრი *fityān* თავს უწოდებდა *‘ayyārūn*-ს, ან რაიმე ეკვივალენტურ დასახელებას. ბევრი *‘ayyārūn*, პირიქით, საკუთარ თავს *fityān* ან *futuwwa*-ს მიმდევრად თვლიდა. ამრიგად, *ahdāt*-ის ერთ-ერთი ლიდერი შეიძლება ზოგჯერ იყოს მოხსენიებული როგორც *ra’s ‘ayyārān*, და ზოგჯერ როგორც *ra’īs ‘al-fityān*.

ხანდახან ისინი მოქმედებდნენ როგორც სარწმუნოებისათვის თავდადებული მებრძოლები შიდა აზიის სასაზღვრო რეგიონებში. ზოგიერთ შემთხვევაში ქალაქებში ქმნიდნენ ოპოზიციურ დაჯგუფებებს, მოდიოდნენ ხელისუფლებაში ოფიციალური მმართველობის დასუსტების დროს და ატერორებდნენ მოსახლეობის მდიდარ ნაწილს. ასე მოხდა ბაღდადში 1135-1144 წწ. (The Encyclopaedia of Islam 1960, 794). სამი საუკუნე, X-დან XII-ის ჩათვლით, სავსეა ისტორიებით მათი „საგმირო“ საქმეების შესახებ. ყაჩაღობა და თარეში ჩერდებოდა მხოლოდ ძლიერი მმართველების პერიოდში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ვინ იყვნენ ისინი და რა მიზნები ჰქონდათ? უპირველეს ყოვლისა, იყვნენ აშკარად ღარიბი ახალგაზრდები სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური (და თუნდაც რელიგიური) წრეებიდან. ისინი ერთიანდებოდნენ, რათა კომფორტულად ეცხოვრად მეგობრების გარემოში საკუთრების საერთო უფლებით. მათ არ ჰქონდათ „პროგრამა“ იმ გაგებით, როგორც თანამედროვე პარტიებს აქვთ და ხშირად მარცვსიკენ მიდრეკილება იყო მათი ერთადერთი მოტივაცია. საინტერესოა, რომ მათ ჰქონდათ კონკრეტული მისწრაფება - გაწევრიანებულიყვნენ პოლიციაში (*ṣurṭa*). ნაწილობრივ, ეს განპირობებული იყო რეგულარული ხელფასის პერსპექტივით და აგრეთვე იმითაც, რომ ყოფილიყვნენ საიმედოდ დაცულები.

თავდაპირველად ეს სამშოები იყვნენ გილდიური გაერთიანებები, შემდეგ კი გადაიქცნენ შეიარაღებულ რაზმებად, ფორმალურად ჩადგნენ სულთნის სამსახურში, მაგრამ ხშირად უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას. სულთნის მიერ *futuwwa*-ს წარმომადგენლებისთვის გაცემული ხელფასი, ფაქტობრივად, იყო გამოსასყიდი მათი ერთგული ქვეშევრდომობისთვის. წყაროებში მოხსენიებული არიან რეფორმირებული *‘ayyārūn*, რომლებიც მოხალისეების (*mutatawwi’ūn*) სახით ეხმარებოდნენ ხელისუფლებას საკუთარი ყოფილი თანამებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მოხალისეების ლიდერები მოითხოვდნენ მათთვის *qā’id* ტიტულის ოფიციალურად აღიარებას, რაც, გარდა მათი თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისა, სოციალურ იერარქიაში უსაფრთხო ადგილს ანიჭებდა. რაც შეეხება რელიგიას, მათ შორის იყვნენ შიიტები და სუნიტები. ისმაილიტები, შესაძლოა, ცდილობდნენ ამ დაჯგუფებებში შეღწევას იქ თავიანთი პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზებისათვის. ჰანბალიტებს ასევე ჰქონდათ საკუთარი სოციალური „ბაზა“ ზოგიერთ ამ დაჯგუფებაში, მაგრამ *futuwwa* არცერთთან არ ყოფილა გაერთიანებული (The Encyclopaedia of Islam 1965, 962).

აღსანიშნავია ჩაცმულობა. *‘ayyārūn*-ის ტანისამოსი სუფიების სამოსს გავდა. *futuwwa*-ში ახალბედთა მიღებას წინ უძღოდა გამოსაცდელი ვადა, რომელიც მოიცავდა სათემო კრების დროს მარილიანი წყლის დაღვების რიტუალს. ახალბედს ქამარს შეაბამდნენ და ის იღებდა *futuwwa*-ს გამორჩეულ ტანისამოსს - შარვალს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ახალბედს წარმოადგენდა თავდები. ახალგაზრდა მას უკავშირდებოდა ვაჟის (*ibn*) ან უმცროსი, დაქვემდებარებული პირის (*ṣagīr*) უდრეკი მოვალეობით მამის (*abū*) ან უფროსის (*kabīr*) წინაშე. ორგანიზაციას ჰქონდა ერთგვარი შიდა ავტონომიური იურისდიქცია, დავებს წყვეტდა პროცედურებით, რომლებშიც დიდ როლს ასრულებდა *futuwwa*-ს ღირსების ფიცი.

*futuwwa*-ს წევრები მონაწილეობდნენ საფოსტო მტრედების მოშენებაში (უძველეს საქმიანობაში, რომლითაც დაკავებული იყვნენ *fityān* და რომელიც ეზიზღებოდა არისტოკრატებს). ისინი მისდევდნენ სპორტის სახეობას *bunduq*, რომელსაც თან ახლავს ფრინველებზე ნადირობა (The Encyclopaedia of Islam 1965, 964).

დაბალ ფენას. ისინი ქმნიდნენ ჯგუფებს კაიროსა და დამასკოს ურბანულ ცენტრებში, ასევე ჰომსში, ჰამასა და ალექსანდრიაში (The Encyclopaedia of Islam 1965, 206).

მასეში ამ გილდიის წარმომადგენლები პოპულარული იყვნენ, როგორც თაღლითი ეშმაკუნები. ისინი მდიდრებს მარცვავდნენ და ამით გამოხატავდნენ კლასობრივ პროტესტს. მათ მორალური ღირებულებები არ გააჩნდათ. ხალხი თანაუგრძნობდა მათ, აღფრთოვანებული იყო მათი შეუპოვრობით, ყველგან მათ შესახებ ისტორიებს, ანეკდოტებს და ქმნიდა გმირულ ეპოსებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ყველა ეს ამბავი და მოთხრობა, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია და საინტერესოა ოცნების რეალობასთან, ისტორიული სინამდვილის ლიტერატურულ ფანტაზიასთან თანხედრის თვალსაზრისით. თუმცა ზოგ მათგანს ისტორიული საფუძველიც აქვს, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებით.

ზოგიერთი ისტორიული მონაცემის და ხალხური ნაწარმოებისგან განსხვავებით არსებობს არაერთი წყარო, რომელთა ავტორები ამხელდნენ ამ ვიზინდარა თაღლითებს და ილაშქრებდნენ მათ წინააღმდეგ. ეს ისტორიკოსები მოიხსენიებენ მათ „...ბრბოდ...“, ან სხვაგვარად, ხროვად, ვულგარულ ნარჩენებად (*awbās*)<sup>3</sup>. სელჩუკები მოიხსენიებდნენ მათ, როგორც „არამზადებს“ - *rind*<sup>3</sup>. იყო სხვა შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეები თანაუგრძნობდნენ მათ. ასეთ შემთხვევაში ცდილობდნენ აეხსნათ მკითხველისთვის, რომ აჯანყებები და სახალხო არეულობები ხდებოდა მხოლოდ „მართლმსაჯულების განსახორციელებლად, ჩაგვრის აღმოსაფრთხვლად და კანონის დასამკვიდრებლად...“. ამ შემთხვევაში ხსენებული ბანდიტები არ წარმოდგენდნენ ყაჩაღებს, არამედ იყვნენ მოსარჩლენი, ვინც ებრძოდა ხალხის აზუჩად აგდებას. ისინი თავს წარმოსახვდნენ ადამიანებად, რომლებიც აჯანყდნენ თავიანთი უუფლებო მდგომარეობის წინააღმდეგ. საწინააღმდეგოდ, მათ ვერ მოძებნეს სხვა გზა გარდა გაიძვერობისა, ეშმაკობისა, მაწანწალობისა და ბანდიტიზმისა. შესაბამისად, ეს თემები იყო იგივე სახალხო თემები, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში და კვებავდა წინააღმდეგობის მოძრაობებს ბაღდადში, დამასკოსა და კაიროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური პოლიტიკური სისტემა ჩამოშლილი იყო და გააქტიურებული სახალხო წინააღმდეგობის ძალები ცდილობდნენ ძალაუფლების მისაკუთრებას ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საბაბით (Al-Nağār 1981, 10).

სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებების დროს ამ მაწანწალებს აკლდათ ორგანიზებულობა და დარაზმულობა. მათ შეეძლოთ მოულოდნელად არსებული მმართველი რეჟიმის დამხობა, მაგრამ არ იცოდნენ მართვა და ადმინისტრირება, ვერ ერკვეოდნენ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში. მათი სურვილი, გარკვეულწილად, ხელისუფლების ყურადღების მიქცევა და სამართლიანი მმართველობის მოთხოვნა იყო. სახელმწიფო კი მათ კანონდამრღვევებად თვლიდა და ეპყრობოდა, როგორც კრიმინალებს და არა როგორც მესამეხეებს კონკრეტული მისიით (Abd al-Mawlā 1990, 4).

საინტერესოა, რომ ოინბაზი, მზაკვარი გმირების უმეტესობა უზვადაა დაფიქსირებული „1001 ღამე“-ში და „ალი ალ-ზაიბაკის სირა“-ში (*sīra ‘Alī al-Zaybaq*). ესენია არაბული ლიტერატურის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კრებული მატყუარების შესახებ. ისეთი გმირები, როგორიცაა მზაკვარი დალილა (*Dalila al-muhtāla*), ალი ალ-ზაიბაკი (*‘Alī al-Zaybaq*), აჰმად ალ-დანაფი (*Aḥmad al-Danaf*) და სხვები, შეიძლება ჩავთვალოთ ფანტასტიკურ პერსონაჟებად, მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი რეალური პიროვნებები არიან თავიანთი ისტორიული წარსულით, რომელიც დიდად არ განსხვავდება მზატვრულისაგან (Al-Nağār 1981, 14). ამ ისტორიულ წარსულს ადასტურებს ისტორიული ტექსტები, რომლებიც მიუთითებენ მზაკვარი დალილას არსებობაზე. ალ-მას’უდი (*al-Mas’ūdī*) (გარდ. 956 წ.) მოიხსენიებს მას 895 წლის მოვლენებთან დაკავშირებით ხალიფა ალ-მუ’თადიდის (*al-Mu’tadid*) დროს და გვაწვდის ზოგიერთ ცნობას ბაღდადში ეშმაკი თაღლითების ოინების შესახებ. ალი ალ-ზაიბაკის რეალობას ადასტურებს იბნ ალ-ასირი (*Ibn al-‘Aṣīr*) (1160-1233), რომელიც მოგვითხრობს 1052

<sup>3</sup> *rind* (მრ. *runūd*) – ბანდები, რომლებიც შესამჩნევად აქტიურობდნენ ანატოლიაში. შდრ. *‘ayyārūn* ბაღდადში და *aḥdāfī* სირიაში, XII საუკუნეში.

წლის მოვლენებზე. ამ წელს *‘ayyārūn*-ების მეთაურებმა ალ-ტაკტაკიმ (*al-Ṭaqtāqī*) და ალ-ზაი-ბაკმა მოახერხეს ბაღდადში ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ბაზრებში გადასახადების აკრეფა. რაც შეეხება აჰმად ალ-დანაფს, მას იბნ იასი (*Ibn Iyās*) (გარდ. 1524 წ.) მოიხსენიებს 1486 წლის მოვლენებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ალი ალ-ზაიბაკი და მოხერხებული, მზაკვარი დალილა ცხოვრობდნენ ბაღდადში, ხოლო აჰმად ალ-დანაფი - კაიროში. გარდა ამისა, ისტორიულად ალი ალ-ზაიბაკი და მზაკვარი დალილა წინ უსწრებდნენ აჰმად ალ-დანაფს ოთხნახევარზე მეტი საუკუნით. ეს ყველაფერი ისტორიულად და გეოგრაფიულად ეწინააღმდეგება მათ შესახებ მოთხრობილ ხალხურ ლეგენდებს. როგორც მხატვრულმა, ასევე ხალხურმა ლეგენდამ აჰმად ალ-დანაფი კაიროელი ბაღდადის გმირად და ალი ალ-ზაიბაკ ბაღდადელის მოძღვრად, „დამრიგებლად“ (*‘ustād*) და „უფროსად“ (*kabīr*) წარმოადგინა, ხოლო ალი ალ-ზაიბაკ ბაღდადელი ხალხურმა ლეგენდამ ეგვიპტის გმირად აქცია და მოქმედების მთავარი ასპარეზი ბაღდადში გადაიტანა. შედეგად მივიღეთ აღრევა ხალხურ ტრადიციაში. ზეპირმა გადმოცემამ უარყო ამ ორ ადამიანს შორის დროთა დისტანცია და ისინი თანამედროვეებად აქცია. ასევე ხალხურმა ეპოსმა ალ-ზაიბაკის წინამორბედად ალ-დანაფი აღიარა და მას მიაწერა ალ-ზაიბაკის არაერთი ავანტიურისტული გამოვლინება. ისტორიული წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, ძალიან ხშირია ხალხურ ლიტერატურაში, რაც იწვევს დროთა ჩარჩოების გაქრობას.

აღსანიშნავია ორი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ალი ალ-ზაიბაკის პოპულარობაზე, როგორც ისტორიული, ისე მხატვრული თვალსაზრისით. ერთის მიხედვით ალ-ზაიბაკმა და მისმა თანამებრძოლმა (*rafiq*) ალ-ტაკტაკიმ (*al-Ṭaqtāqī*) ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ბაღდადში. შემფოთებულმა ხალიფამ, 1051 წლის ამბოხების ჩასახშობად დახმარებისთვის ოფიციალურად მიმართა *‘ayyārūn*-ს. მეორე ფაქტორი ბაღდადის პოლიციის უფროსის გადადგომაში მდებარეობს. მან გაუგზავნა უსაფრთხოების ჯგუფი ხალიფას სასახლის და მისი საფოსტო მტრედების დასაცავად, რადგან ბანდიტები და ქურდები მოსახლეობას ატერორებდნენ და ქალაქში ხანძრებს აჩაღებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ჯგუფი შედგებოდა თავად *‘ayyārūn*-ებისგან, რომლებსაც სათავეში ალი ალ-ზაიბაკი უდგა. ამაზე ისტორიკოსები სდუმან. ამის ფონზე შეიქმნა „ალი ალ-ზაიბაკ კაიროელის სირა“, რომელიც დაიწერა ეგვიპტეში იბნ ტულუნის (*Ibn Ṭūlūn*) მეფობის შემდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ ალი ალ-ზაიბაკი ერთადერთი დიდი ავაზაკია, რომელსაც სულთანმა არ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი, როგორც სხვა დიდ მზაკვრებს. ისტორიული ცნობებით, აჰმად ალ-დანაფი მოკლეს 1486 წელს. ეს ნიშნავს, რომ მისი „გმირობების“ გახალხურება დაიწყო XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისში.

აჰმად ალ-დანაფი ალი ალ-ზაიბაკზე უფრო პოპულარული იყო არა იმიტომ, რომ ის იყო მისი მასწავლებელი (რაც ისტორიულად არ შეესაბამება სინამდვილეს), არამედ იმიტომ, რომ როცა ეგვიპტურ გარემოში გამოჩნდა აჰმად ალ-დანაფი, ხალხმა ალ-ზაიბაკის ავანტიურისტული თავგადასავლები მასზე გადაიტანა. თუმცა, ორივე თავისებურად ცნობილი იყო და ორივემ გულთბილი ასახვა ჰპოვა „1001 ღამეში“, რაც მათ პოპულარობას ადასტურებს. შემდეგ გამოჩნდნენ ხალხური სირის შემქმნელები და გააერთიანეს ეს ორი გმირი ერთ სირაში, რითაც ალი ალ-ზაიბაკი მის გმირად აქციეს, ხოლო აჰმად ალ-დანაფს „პატივი ხვდა წილად“, ყოფილიყო ალ-ზაიბაკის „დამრიგებელი“ და „უფროსი“ ქურდობისა და ეშმაკობის ხელოვნებაში. ამ ამბებმა შემდეგ გაგრძელება ჰპოვა ლიტერატურაში. მარჯვე მზაკვრები აჯანყდნენ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის წინააღმდეგ და შეავსეს ისტორიული და ხალხური რეალობა. ამას ადასტურებს *‘ayyārūn wa-š-šūṭār*-ის ფენომენის ისტორიული შესწავლა (Al-Naḡār 1981, 64-72; Аджимян 2006, 6-23).

აღმოსავლელ ავანტიურისტებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს X საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებული მაკამას (*maqāma*) ჟანრი, რომელიც ფართოდ გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ლიტერატურაში და წინ გაუსწრო ევროპულ ავანტიურულ ნოველას. მაკამები - მოკლე მოთხრობებია დაწერილი დახვეწილი რიტმული პროზით

(საჯ'ი) მრავალრიცხოვანი პოეტური ჩანართებით. თითოეულ მაკამას აქვს ტრადიციული დასაწყისი, სტანდარტული დასასრული, ერთნაირი მოქმედების განვითარება, სიტუაციების გამეორება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ვარიაციებით. თხრობა მაკამებში პირველ პირშია; მთხრობელი ერთი მაკამების მთელ ციკლში.

ცნობილია სულ მცირე სამოცდაათი მწერალი, ვინც მაკამის ჟანრს მიმართავდა; ამ ჟანრის ნაწარმოებები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იქმნებოდა. მაკამების ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც ხანდახან ახალი ჟანრის ფუძემდებლადაც კი ითვლება, იყო ჰამადანელი მეცნიერ-ფილოლოგი - ბადი ალ-ჰამან ალ-ჰამადანი (*Badi' al-Zamān al-Hamadānī*) (969-1007 წწ.), რომელმაც, მისივე განცხადებით, შექმნა დაახლოებით ოთხასამდე მაკამა, საიდანაც ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ორმოცდათერთმეტი. მაკამის ჟანრმა შემდგომი განვითარება განიცადა ცნობილი ბასრელი არაბი სტილისტის აბუ მუჰამად ალ-კასიმ ალ-ჰარირის (*Abū Muhammad al-Qāsim al-Ḥarīrī*) (1054-1122) შემოქმედებაში. მას ეკუთვნის ორმოცდაათი მაკამის ციკლი, რომლის მთავარი გმირი, განათლებული მაწანწალა მწერალი აბუ ზაიდ ალ-სარუჯი (*Abū Zayd al-Sarūjī*), ყოველ მაკამაში ჩნდება ახლებური სახით, მაგრამ მუდამ ახერხებს ყველაზე უხერხული სიტუაციებიდან თავის დაღწევას (Фильштинский 1965, 211; Борисов и Долинина 1978, 3). მაკამებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ნინო დოლიძის მაკამის ჟანრისადმი მიძღვნილი სადისერტაციო ნაშრომი, სადაც განხილულია აღნიშნული ჟანრის თავისებურებები (დოლიძე 2004).

ავანტიურისტი გმირების ფართო პოპულარობას ადასტურებს მოკლე ანეკდოტის ჟანრიც, რომელიც არსებობს არაბულ ლიტერატურაში და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „1001 ღამეშიც“. არაბული ანეკდოტები და ავანტიურული ნოველები უფრო ახლოს დგანან შუა საუკუნეების ევროპულ ფაბლიოსთან. მათში ვხვდებით მზაკვარი თაღლითის იგივე კულტს, რომელიც არაკეთილსინდისიერია საშუალებების არჩევაში და ყოველთვის მზადაა გამოიყენოს ადამიანური სიბრყვე საკუთარი ეგოისტური ინტერესებისათვის. ავტორები არც კი ცდილობენ მკითხველში ჩაუნერგონ აზრი, რომ გმირის ასეთი საქციელი მორალური თვალსაზრისით შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული უსამართლობით ან სოციალური წყობის არაგონივრულობით და ამით მისი ქცევა „გააკეთილშობილონ“, როგორც ეს რენესანსის ავტორებმა გააკეთეს ევროპაში. გმირი ამ მოთხრობებში ფხიზლად და ცინიკურად მოქმედებს, ცდილობს ვინმე მოატყუოს, სხვის ხარჯზე ფული იშოვოს და ამით მოიპოვოს „ადგილი მზის ქვეშ“. არაბული ანეკდოტი ხასიათდება „იდებების ნაკლებობით“ - მისი არსი სასაცილო სიტუაციაშია, მისი პრიმიტიულ-კომიკური სიუჟეტი აგებულია საზრიანი პასუხის ან მახვილგონივრული დიალოგის მოულოდნელობის ეფექტზე. უფრო ვრცელი ისტორიები სახალისო ხუმრობებზე ან ქალაქის გმირის გაწაფულობის, ეშმაკობისა და გამჭირახობის შესახებ ასევე ანეკდოტიდან გამომდინარეობს და მოულოდნელობის კომიზმზეა აგებული. ამით ისინი განსხვავდებიან მსგავსი რენესანსის ევროპული ნოველებისგან, სადაც აქცენტი გადატანილია დომინანტურ იდეაზე: ადამიანური ბუნების რეაბილიტაციაზე, სიხარბის და სამღვდელოების თვალთმაქცობის კრიტიკაზე და გონების განდიდებაზე. ავანტიურისტულ ნოველებთან ახლოს დგანან მსგავსი შინაარსის „1001 ღამის“ სიუჟეტები, მიძღვნილი თაღლითების, ქურდებისა და ყაჩაღების ოინებს და, ასევე იმას, თუ როგორ იყო გააშკარავებული მათი დანაშაულებები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქურდებისა და თაღლითების ეშმაკური ოინები მთხრობელებში აღტაცებას იწვევენ, მათი სიმპათია სრულად იმ პერსონაჟების მხარეზეა, რომლებიც თავიანთ ქონებას იცავენ (Фильштинский 1986, 21).

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიტყვა „ანეკდოტი“, რა თქმა უნდა, არ გამოიყენებოდა და ზემოხსენებულ მოთხრობებს განსხვავებული, ყველაზე ხშირად არაბული სახელწოდებები ჰქონდათ. ყველაზე გავრცელებულია *laṭīfa* (მრ. *laṭā'if* - 1) „დახვეწილობა“; 2) „მახვილგონივრული სიტყვა“; „ანეკდოტი“, „დახვეწილი ხუმრობა“; *zarīfa* (მრ. *zarā'if* - „მახვილგონივრული აზრი“; „ხუმრობა“; „მახვილი სიტყვა“; „სასაცილო მოთხრობა“, „bon mot“; *nādira* (მრ. *nawādir* - 1) „იშვიათობა“; 2) „სასაცილო ამბავი“, „სასაცილო მოთხრობა“, „ანეკდოტი“;

3) „საოცარი შემთხვევა“ და *‘ağība* (მრ. *‘ağā’ib*) – „სასწაული“, „საოცრება“. სატირა და პასკვილი აღენიშნებოდა ტერმინით *hağw* - 1) „მასხრად აგდება“, „ცილისწამება“; 2) „დაცინვა“; 3) „სატირა“; „პასკვილი“, მაგრამ ყველაზე ხშირად მას პოეტური ნაწარმოებებისთვის იყენებდნენ. ჩამოთვლილი ტერმინებიდან ორს - *nādīra* და *‘ağība* - იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ტერმინს „ანეკდოტი“, ანუ „რადაც უცნობი, იშვიათი, უცნაური“ (Османов 1963, 6).

თავდაპირველად ანეკდოტების პერსონაჟები ისტორიული პირები იყვნენ. მაგალითად, არაბულ პოეტურ ანთოლოგიებში შენარჩუნებულია ანეკდოტები ისლამამდელი პოეტების იმრუ ლ-კაისისა (*Imru’ al-Qais*) და ტააბბატა შარრანის (*Tā’abbata Šarrān*) შესახებ. ანეკდოტების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდებოდა ჰარუნ აღ-რაშიდის (*Hārūn al-Rašīd*) (786-809) თანამედროვეს, შემოღობი ბუჰლულის (*Buhlūl*) გამოსახულებას. ჰარუნ აღ-რაშიდის კიდევ ერთი თანამედროვე, კარისკაცი პოეტი-გედონისტი აბუ ნუვასი (*Abū Nuwās*) (762-813), ასევე გახდა უამრავი ხალხური ანეკდოტის პოპულარული გმირი.

მაგრამ ანეკდოტების ყველაზე პოპულარულ პერსონაჟათ, სატირული და იუმორისტული ნაწარმოებების საყვარელ გმირად, ალბათ, შეიძლება ჩაითვალოს ჯუჰა (*Ġuḥā*), რომელიც შემდგომში გავრცელდა ერთი ლიტერატურიდან მეორეში, ერთი ფოლკლორიდან მეორეში, და შეაღწია სიცილიაში, სერბეთსა და ტოსკანაში.

არაბების, სპარსელების, თურქებისა და სახალიფოს სხვა ხალხების კულტურული და პოლიტიკური კავშირები, სამხედრო კამპანიები და ვაჭრობა - ყველაფერი ეს შეგვიქმნა ანეკდოტების გარკვეული „საერთო მარაგი“.

დიდი პოპულარობით ჯუჰა სარგებლობდა სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურაშიც. მას პირველად მოიხსენიებს პოეტი მანუჩჰრი (*Manūčihri*) (გარდ. 1040-1041 წწ.), შემდეგ კი ანვარი (*Anwarī*) (გარდ. 1190 წ.). შემდგომში, სპარსულ ანეკდოტებში ხდება ჯუჰას ჩანაცვლება ახალი პერსონაჟით - მოლა ნასრედინით (თურქულ ფოლკლორში - ხოჯა ნასრედინი), რომელიც ხდება ყველაზე პოპულარულ ხალხურ გმირად. ახლა უკვე შეუძლებელია სპარსული და თურქული ანეკდოტების ურთიერთგავლენის და ურთიერთკავშირის დადგენა. სავარაუდოდ, ნასრედინზე სპარსული და თურქული ანეკდოტების მნიშვნელოვანი ნაწილი ვიპოვით ძველ არაბულ კრებულებში ჯუჰას შესახებ, მაგრამ მნიშვნელოვანია არა ეს ფაქტი, არამედ ის, რომ ეს საერთო სიუჟეტის მოხეტიალე ანეკდოტები ყველგან იძენენ საკუთარ სპეციფიკას და მათი პერსონაჟები თითოეული ერისთვის საკუთარი ხდება: ასე რომ, თუ რომელიმე სპარსელს ჰკითხავთ, ნასრედინი რა ეროვნებისა, ის გიპასუხებთ: „სპარსი“, ხოლო თურქი გიპასუხებთ: „თურქი“ (Османов 1963, 8-9; Аджимян 2006, 23-32).

ამრიგად, ანეკდოტის გავლენა ლიტერატურაზე უდაოა და დიდი ხანია აღიარებული. ზოგიერთმა ანეკდოტმა დიდხანს არ იცოცხლა, ზოგმა კი მოიპოვა პოპულარობა და ზეპირად გადმოიცემოდა, ზოგჯერ კი ქვეყნიდან ქვეყანაშიც გადადიოდა. ბევრმა ანეკდოტმა შეაღწია ლიტერატურაში და იქ დამკვიდრდა; ზოგმა ლიტერატურაში გამორჩეული სიცოცხლე ჰპოვა, სრულიად გარდაიქმნა და თავის განვითარებაში წარმოშვა უფრო რთული ლიტერატურული ფორმები. თუმცა, წერილობითმა ლიტერატურამ, თავის მხრივაც, გავლენა იქონია ანეკდოტებზე და მათ შორის ხდება უდავო ლიტერატურული წარმოშობის მაგალითები (Османов 1963, 7).

რაც შეეხება *‘ayyārūn wa-š-šuttār*-ს, მათგან ყველაზე სახელგანთქმულებმა მოახერხეს თავიანთი სახელების ამოტვიფრა ეროვნული და ხალხური ისტორიის მეხსიერებაში და დროთა განმავლობაში, ისტორიული წიაღიდან ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მხატვრულ სიმბოლოებად იქცნენ (Al-Nağār 1981, 15). მათ შერქმეულ არაბულ სახელებში აისახა ამ პირების ნიშანთვისებები<sup>4</sup>. ამგვარად, არაბი ოინზაზების სახელები, როგორიცაა ალი აღ-ზა-იბაკი კაიროელი, აჰმად აღ-დანაფი ბაღდადელი, მზაკვარი დალილა და სხვები, დროთა გან-

<sup>4</sup> *zaybaq* – არაბ. „ვერცხლისწყალი“; *danaf* – არაბ. „ჭირი“, „უბედურება“.

მავლობაში გადაიქცნენ საზოგადო სახელებად და ფართოდ გავრცელდნენ არაბულ სალაპარაკო ენაში (Аджимян 2006, 40-41).

ამგვარად, არაბული ავანტიურისტული პროზა და ანეკდოტები არაბული ლიტერატურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მათი შესწავლა და კვლევა საყურადღებოა მრავალფეროვანი არაბული ლიტერატურის შესახებ ჩვენი ცოდნის გასამდიდრებლად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე, ნ. 2004. „მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში.“ სადოქტორო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Abd al-Mawlā, Muḥammad Aḥmad. 1990. *ʿAl-ʿayyārūn wa-š-šuttār ʿal-bagādida fī-t-tāʾrīḥ ʿal-ʿabāsī. ʿal-Iskandariyya: mūʾassasa šabāb ʿal-ḡāmiʿa* (არაბულ ენაზე).
- Al-Naḡār, Muḥammad Raḡab. 1981. *Ḥikāyāt ʿaš-šuttār wa-l-ʿayyārīn fī-t-turāṭ ʿal-ʿarabī. ʿaḍdā silsila ʿālam ʿal-maʿrifa* (45). *madīna ʿal-Kuwayt: ʿal-maḡlis ʿal-waṭanīyyi li-l-ṭaqāfa wa-l-funūn wa-l-ādāb* (არაბულ ენაზე).
- The Encyclopaedia of Islam*. 1960. New Edition, Prepared by Number of Leading Orientalists, Edited by an Editorial Committee Consisting of H. A. R. Gibb, J. H. Kramers, E. Lévi-Provençal, J. Schacht, B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht, Under the Patronage of the International Union of Academies, Vol. I, A-B. Leiden: E. J. Brill.
- The Encyclopaedia of Islam*. 1965. New Edition, Prepared by Number of Leading Orientalists, Edited by B. Lewis, Ch. Pellat and J. Schacht, Under the Patronage of the International Union of Academies, Vol. II, C-G. Leiden: E. J. Brill.
- Аджимян, К. 2006. *Арабская авантюристическая проза*. Тбилиси: “Язык и культура”.
- Борисов В. М., и А. А. Долинина. 1978. *Предисловие к книге Абу Мухаммеда аль-Касима аль-Харири “Макамы: Арабские средневековые плутовские новеллы”*, 3-14. Москва: Главная редакция восточной литературы издательства “Наука”.
- Османов, Н. 1963. *Предисловие к сборнику “Персидские анекдоты”*, под редакцией А. Нушина, 5-14. Москва: Издательство восточной литературы.
- Фильштинский, И. М. 1965. *Арабская классическая литература*. Москва: “Наука”.
- Фильштинский, И. М. 1986. “Вечно юная сказка.” *Вступительная статья к сборнику “Халиф на час”. Избранные сказки, рассказы и анекдоты из “Тысяча и одной ночи”*, 3-26. Москва: Издательство “Правда”.